

**ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და
12 პირობა საქართველოსთვის კანდიდატის
სტატუსის მისაღებად – რა იქნება უმდებ?**

2022

ადამიანის უფლებათა ცენტრი



ავტორი: ნატო რუბანოვი



ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი	3
1. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები	5
1.1 აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა	6
2. რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე	7
3. ევროპული საბჭოს უარი კანდიდატის სტატუსზე, ევროპული პერსპექტივა და ევროკომისიის 12 პირობა კანდიდატის სტატუსის მისაღებად	11
4. საქართველოს მთავრობის პასუხი ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებაზე და სამომავლო გეგმები	14
5. სამოქალაქო საზოგადოების რეაქცია ევროპული ინსტიტუტების გადაწყვეტილებაზე	21
6. საქართველოს პერსპექტივები კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ?	30

შესავალი

ევროპული ინტეგრაციის პროექტი, რომლის შედეგაც დღევანდელი ევროპული კავშირია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიბადა. ომის შედეგებით შეძრწუნებულმა ევროპულმა ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ კონტინენტზე ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევა მხოლოდ სუპრანაციონალურ დონეზე თანამშრომლობით იყო შესაძლებელი და თავდაპირველ ეტაპზე, ძირითად მიზნად ეკონომიკური ინტეგრაცია დაისახეს, რასაც ევროპულ ქვეყნებს შორის სავაჭრო რეგულაციების ჰარმონიზება და მოგვიანებით, სავაჭრო ბარიერების მოხსნა მოჰყვა.

ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნამ დღის წესრიგში დააყენა თანამშრომლობის გაძლიერება ეკონომიკის ისეთ დარგებში, როგორც არის სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, რეგიონული ინვესტირება და ხელი შეუწყო შესაბამის სფეროებში ევროპული პოლიტიკის განვითარებას. დროთა განმავლობაში, გაერთიანების გაფართოების კვალდაკვალ, წარმატებულმა ეკონომიკურმა ინტეგრაციამ ბიძგი მისცა თანამშრომლობის გაღრმავებას პოლიტიკურ სფეროებშიც, მათ შორის - თავდაცვის, საგარეო პოლიტიკისა და შიდა საქმეების მიმართულებით. თანამედროვე ევროკავშირში, რომელიც ფორმალურად 1992 წლის მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, წევრი სახელმწიფოები გარდა სავაჭრო-ეკონომიკურისა, მჭიდროდ თანამშრომლობენ პოლიტიკისა და მართლმსაჯულების საკითხებშიც.

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მიისწრაფვის ევროკავშირისკენ - სივრცისკენ, რომელიც ქვეყნისთვის მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გარანტიად უნდა იქცეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული თანამშრომლობა ეტაპობრივად ვითარდებოდა და ევროკავშირთან ქვეყნის ინტეგრაცია სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა. 2014 წელს ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ჩარჩო მნიშვნელოვნად გაფართოვდა. თუმცა, მიუხედავად ამ თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული წარმატებული რეფორმებისა, საქართველოსთვის ევროკავშირში სრული ინსტიტუციური ინტეგრაცია და გაწევრიანება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩებოდა და 2022 წლამდე ქვეყანას გაწევრიანების პერსპექტივის დაპირებაც არ ჰქონდა მიღებული. რადიკალურად შეიცვალა ვითარება 2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრით, რის შედეგადაც ევროკავშირმა აღმოსავლეთით დაჩქარებული გაფართოების გადაწყვეტილება მიიღო. 2022 წლის 28 თებერვალს უკრაინამ ევროკავშირს გაწევრიანების შესახებ ოფიციალური განაცხადით მიმართა. 3 მარტს გაწევრიანების შესახებ განაცხადები გააკეთეს მოლდოვამ და საქართველომაც. 23

ივნისს ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, უკრაინას და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭათ, ხოლო საქართველომ ევროპული პერსპექტივა და პირობები და რეკომენდაციები მიიღო, რომელთა შესრულების შემთხვევაში ქვეყანას კანდიდატის სტატუსი მიენიჭება.

წინამდებარე ანალიტიკური ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ანალიზს რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაჩენილი შესაძლებლობის ფარგლებში ევროკავშირის მორიგი გაფართოების კონტექსტში. დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის განვითარების ცალკეულ ეტაპებს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, და განსაკუთრებულ აქცენტს ბოლოდროინდელ მოვლენებზე აკეთებს, რაც საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობის შესახებ განაცხადს და მისთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას უკავშირდება.

საწყის ეტაპზე, ანალიტიკურ დოკუმენტში ქრონოლოგიურად წარმოდგენილია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორცაა: პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმება, საქართველოს ჩართვა ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ამოქმედება, ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით და ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება. დოკუმენტის შემდეგი ნაწილი რუსეთ-უკრაინის ომს, მასზე დასავლეთის რეაქციას, ომით გამოწვეულ გეოპოლიტიკურ რყევებსა და აღმოსავლეთით დაჩქარებული გაფართოების შესახებ ევროკავშირის არაორდინალურ გადაწყვეტილებას უკავშირდება. ანალიტიკური დოკუმენტის შემდეგ ნაწილში წარმოდგენილია ევროპული კომისიის შეფასება ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საქართველოს განაცხადზე, ევროპული საბჭოსადმი მისი რეკომენდაცია საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების თაობაზე და ის 12 პრიორიტეტი, რაზეც ქვეყანას მუშაობა მოუწევს კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად. დოკუმენტის მომდევნო ნაწილები ევროკავშირის ინსტიტუტების გადაწყვეტილებაზე საქართველოს მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების რეაქციას და ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად მათ გეგმებს წარმოაჩენს. დასკვნით ეტაპზე წარმოდგენილია ხედვა კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად საქართველოს პერსპექტივებისა და ამ მიზნის მიღწევის გზების შესახებ.

1. საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობების დაწყება საბჭოთა კავშირის დაშლასა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცალიბებას უკავშირდება. 1992 წლიდან ქვეყანაში ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამის - TACIS-ის (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States) განხორციელება დაიწყო¹. მსგავს პროგრამებს შორის TACIS ყველაზე მსხვილი დახმარების პროგრამა იყო მსოფლიოს მასშტაბით და მისი მიზანი ბენეფიციარ ქვეყნებში ეფექტურად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა იყო. ტექნიკური დახმარების პროგრამამ უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს ინსტიტუციური მშენებლობისა და საბაზრო ეკონომიკურ მოდელზე გადასვლის საქმეში.

ევროკავშირთან სახელშეკრულებო ურთიერთობების ჩამოყალიბება 1996 წელს, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (Partnership and Cooperation Agreement) დადებით დაიწყო². შეთანხმება ძალაში 1999 წელს შევიდა. პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებამ ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო შექმნა. დოკუმენტით გათვალისწინებული იყო მხარეთა შორის პოლიტიკური დიალოგის, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის, რეგულაციური, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კულტურული თანამშრომლობის ხელშეწყობა. თუმცა, იმ ეტაპზე პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების უმთავრესი მიზანი პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის პროცესში საქართველოს დახმარება და არა რაიმე უფრო ამბიციური რამ იყო³.

2004 წლიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებზე, მათ შორის, საქართველოზე ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (European Neighbourhood Policy) გავრცელდა. ევროკავშირის ეს პოლიტიკა 2003 წელს ამოქმედდა მეზობელ ქვეყნებში კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით. პოლიტიკის ამოცანა „მეგობრების წრის“ შექმნა იყო, რომლებთანაც ევროკავშირს მშვიდობიანი, მჭიდრო და თანამშრომლური ურთიერთობები ექნებოდა⁴. 2004-2008 წლებში ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოში, მეტწილად, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა და თითქმის ყველა ევროპული დახმარების პროგრამა, რომლებიც ყოფილ საბჭოთა სივრცეს მოიცავდა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ერთიან

¹ European Commission, [EC Technical Assistance to the Commonwealth of Independent States and Georgia](#), MEMO/92/54, 14 September 1992.

² [შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ](#), 22 აპრილი, 1996 წელი, ლუქსემბურგი.

³ არჩილ გეგეშიძე, [საქართველოს ევროპული პერსპექტივა: როგორ დავიახლოვოთ მომავალი პოლიტიკის დოკუმენტში საქართველოს ევროპული პერსპექტივის გახსნა](#), ლევან მიქელაძის ფონდი, 2018, გვ. 9-29.

⁴ Communication from the Commission to the Council and the European Parliament, [Wider Europe — Neighbourhood: A New Framework for Relations with our Eastern and Southern Neighbours](#), COM (2003) 104 final, 11 March 2003.

ინსტრუმენტში - (European Neighbourhood and Partnership Instrument - ENPI) გაერთიანდა. 2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობამ ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა მიიღო, რომელიც პოლიტიკური დოკუმენტი იყო და პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დებულებების შესრულებასთან ერთად, მიზნად ისახავდა ახალ სფეროებში კავშირების დამყარებას და საქართველოს შემდგომ ინტეგრირებას ევროკავშირის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში⁵.

1.1 აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა

2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა რუსულმა აგრესიამ ბრიუსელი ევროპისთვის საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე დააფიქრა და ბიძგი მისცა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ განზომილების - **აღმოსავლეთ პარტნიორობის** ჩამოყალიბებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა შვედეთისა და პოლონეთის მთავრობებს ეკუთვნით და ის ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს 6 ქვეყანას - აზერბაიჯანს, ბელორუსს, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთსა და უკრაინას აერთიანებს. ახალი ინიციატივა 2009 წლის პრადის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ამოქმედდა, რითაც მის მთავარ მიზნად პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან შემდგომი პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიური ინტეგრაციისთვის აუცილებელი პირობების შექმნა განისაზღვრა⁶.

აღმოსავლეთ პარტნიორობა რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივაა, რომელიც, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მსგავსად, ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას არ ითვალისწინებს, მაგრამ პარტნიორ სახელმწიფოებს ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობებს სთავაზობს ასოცირების შესახებ შეთანხმებების და სავიზო დიალოგის სახით.

საქართველომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ორმხრივი ურთიერთობების ფორმატის ყველა შესაძლებლობა წარმატებით გამოიყენა, რამაც კონკრეტული სარგებელი მოუტანა ქვეყანას. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას (Association Agreement), რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტსაც მოიცავს⁷. 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა. 2017 წლის 1 ივლისიდან საქართველო ოფიციალურად გახდა ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი.

⁵ [ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა](#), საქართველო-ევროკავშირი, 2006.

⁶ Council of the European Union, [Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit](#), 8435/09 (Presse 78), 7 May 2009.

⁷ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27 ივნისი, 2014 წელი, ბრიუსელი.

საერთო ჯამში, ასოცირების შესახებ შეთანხმებით და ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები საქართველოში არაერთი რეფორმის განხორციელების საფუძველი გახდა ისეთ სფეროებში, როგორცაა: დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გაძლიერება, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ანტიკორუფციული პოლიტიკა, სურსათის უვნებლობა, საზღვრის მართვა და სამოგზაურო დოკუმენტაციის უსაფრთხოება. რეფორმების განხორციელების ტემპით საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერად და რეგიონში ევროკავშირის ძირითად პარტნიორად იქცა. თუმცა, 2019 წლიდან „ქართული ოცნების“ მიერ საარჩევნო რეფორმის შესახებ გაცემული პირობის დარღვევის შედეგად გამძაფრებული პოლიტიკური კრიზისის კვალდაკვალ, დემოკრატიის უკუსვლამ⁸, რომელიც კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყანას ეს სტატუსი თანდათან ჩამოართვა⁹.

2. რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე

2022 წლის 24 თებერვალს ევროპამ და მთელმა მსოფლიომ სრულიად ახალ რეალობაში გაიღვიძა. უკრაინაში რუსეთის არაპროვოცირებულმა ფართომასშტაბიანმა შეჭრამ და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილმა გაუგონარმა სისასტიკემ მთლიანად შეცვალა არა მხოლოდ უკრაინელების, არამედ დასავლეთის ქვეყნების დღის წესრიგიც. სუვერენულ სახელმწიფოზე გაუმართლებელ თავდასხმას უჩვეულო ერთიანობით უპასუხა მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ. დასავლურმა ქვეყნებმა დაგმეს რუსეთის პრეზიდენტის - პუტინის აგრესია და მისი იზოლაციისკენ მიმართული ინდივიდუალური, დიპლომატიური, ეკონომიკური და ენერგეტიკული სანქციების ამოქმედება დაიწყეს. ევროკავშირმა რუსეთის სამხედრო მოქმედებების წინააღმდეგ მიმართული სანქციების არაერთი პაკეტი წარმოადგინა, რომლებიც კრემლის ფინანსური შესაძლებლობების შესუსტებას და უკრაინაში შეჭრაზე პასუხისმგებელი პოლიტიკური ელიტისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური ფასის გადახდას ისახავს მიზნად¹⁰.

უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეულმა გეოპოლიტიკურმა რყევებმა ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების ახალი გამოწვევები გააჩინა. ევროკავშირი, რომელიც რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს წლების მანძილზე პრაგმატული პოლიტიკით პასუხობდა, იძულებული გახდა მისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვა

⁸ Freedom House, [Freedom in the World 2020, Georgia](#).

⁹ European Commission, [Association Implementation Report on Georgia](#), SWD(2021) 18 final, 5 February 2021.

¹⁰ European Council, [EU restrictive measures against Russia over Ukraine \(since 2014\)](#).

და განახლება დაეწყო¹¹. ომის დაწყებიდან 2 კვირის თავზე ევროპელი ლიდერები საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის მიწვევით ვერსალის სასახლეში შეიკრიბნენ, სადაც უკრაინაში რუსეთის სამხედრო მოქმედებებსა და ევროკავშირის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობაზე იმსჯელეს¹². 10-11 მარტის ვერსალის დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ უკრაინის წინააღმდეგ არაპროვოცირებული და გაუმართლებელი სამხედრო აგრესიით, რომელიც ძირს უთხრის ევროპულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, **რუსეთმა ევროპის კონტინენტზე ომი დააბრუნა**¹³. დეკლარაციით ევროკავშირის თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდა ევროპული ბლოკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის დასახელებული, რის მისაღწევადაც წევრი სახელმწიფოები თავდაცვის საშუალებებსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებში მეტად ინვესტირებაზე შეთანხმდნენ¹⁴.

ევროკავშირის კიდევ ერთი არაორდინალური გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომმა განაპირობა, აღმოსავლეთით დაჩქარებული გაფართოების საკითხს უკავშირდება. ევროპულ ბლოკში გაწევრიანებაზე უკრაინის განაცხადმა გაფართოებისადმი ევროკავშირის მიდგომა სრულიად შეცვალა და დიდი ხნის განმავლობაში ტექნიკურ პროცესად დანახული გაფართოების პოლიტიკა, გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად წარმოაჩინა, რომელიც სტრატეგიულ მიდგომას საჭიროებს¹⁵.

პროცესი დაიწყო იმით, რომ 28 თებერვალს ომში მყოფმა უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ, ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ ოფიციალურ განაცხადს მოაწერა ხელი, რომელიც იმავე დღეს გადაეცა ევროკავშირის წარმომადგენელს¹⁶. უკრაინის პრეზიდენტმა ევროკავშირის ლიდერებს მიმართა და უკრაინის დაუყოვნებლივ გაწევრიანების მხარდაჭერისკენ მოუწოდა „ახალი სპეციალური პროცედურის“ მეშვეობით¹⁷. 8 აპრილს ბუჩის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ უკრაინაში ვიზიტით მყოფმა ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დენ ლეიენმა ერთგვარი სიფრთხილით აღნიშნა, რომ უკრაინა ევროპულ ოჯახს ეკუთვნოდა და ევროკავშირი შესაძლებლობის ფარგლებში გაწევრიანების პროცედურას დააჩქარებდა, მაგრამ - ისე, რომ ყველა წინაპირობა დაკმაყოფილებული ყოფილიყო¹⁸. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპული ქვეყნები შედარებით სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ევროკავშირის გაფართოების იდეისადმი, უკრაინისთვის გაწევრიანების პერსპექტივის

¹¹ ანა ანდლულაძე, [უკრაინაში რუსეთის შუქრის შედეგები საქართველოსთვის: დროა მოქმედებისთვის?](#) პოლიტიკის ნარკვევი #40, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 27 მაისი, 2022.

¹² Euronews.com, [EU leaders meet in Versailles to discuss the Ukraine war and energy independence](#), 10 March 2022.

¹³ Versailles Declaration, [Informal meeting of the Heads of State or Government](#), 10 and 11 March 2022.

¹⁴ იქვე.

¹⁵ Pierre Morcos, [Ukraine's Road to EU Membership](#), Centre for Strategic and Integrational Studies, 18 May 2022.

¹⁶ interpressnews.ge, [ვოლოდიმირ ზელენსკიმ უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადს ხელი მოაწერა](#), 28 თებერვალი, 2022.

¹⁷ politico.eu, [Ukraine's Zelenskyy ups pressure on EU with plea for immediate membership](#), 28 February 2022.

¹⁸ European Commission, [Statement by President von der Leyen with Ukrainian President Zelenskyy at the occasion of the President's visit to Kyiv](#), 8 April 2022.

გახსნას მხარს უჭერდნენ ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ზღვისპირეთის სახელმწიფოები¹⁹.

რუსეთ-უკრაინის ომმა ბიძგი მისცა ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პროცესის დაწყებას და ერთგვარი შესაძლებლობის ფანჯარა გააჩინა არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ „ასოცირებული ტრიოს“²⁰ დანარჩენი ორი წევრის - მოლდოვასა და საქართველოსთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, 2024 წელს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადის ოფიციალურად წარდგენის თაობაზე, საჯაროდ იყო გაცხადებული, რომ არა ომი უკრაინაში, რამაც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში უსაფრთხოების კომპონენტის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაზარდა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტები წინა პლანზე წამოწია, საკამათოა, რამდენად განიხილავდნენ ევროპულ ინსტიტუტებში საქართველოს განაცხადს²¹.

ევროკავშირში გაწევრიანებაზე უკრაინის ოფიციალური განაცხადიდან სამი დღის შემდეგ, 3 მარტს, ბლოკში გასაწევრიანებლად ოფიციალური განაცხადები მოლდოვამ და საქართველომაც წარადგინეს. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან სამივე ქვეყანა - უკრაინა, მოლდოვა და საქართველო პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს წამოადგენენ მსგავსი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებითა და გამოწვევებით. სამივე ქვეყანამ რუსული აგრესია განიცადა და ევროპასთან ინტეგრაციის გზით მშვიდობიან, დემოკრატიულ და ეკონომიკურად წარმატებულ განვითარებას ესწრაფვის.

სამწუხაროდ, საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციის ისეთ მნიშვნელოვან ეტაპს, როგორც წევრობაზე განაცხადის ოფიციალურად წარდგენაა, არც თუ ისე სახარბიელო შიდაპოლიტიკური კონტექსტით შეხვდა, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს მის ურთიერთობებზე გარე პარტნიორებთან. ქვეყანაში არსებული უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია უარყოფითად აისახება როგორც საქართველოს დემოკრატიის ხარისხზე, ისე მის საგარეო პილიტიკაზე²². გარდა იმისა, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში დემოკრატიის უკუსვლის გამოისობით საქართველომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ლიდერის სტატუსი დაკარგა, ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთებამდე მნიშვნელოვნად დაზიანდა ჩვენი ქვეყნის ურთიერთობები თავად ევროკავშირთანაც.

2021 წლის 28 ივლისს „ქართულმა ოცნებამ“ 19 აპრილის შეთანხმებიდან გასვლის შესახებ განაცხადა, რომელიც ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მედიაციით გაფორმდა და მიზნად ისახავდა ქვეყანაში პოლარიზაციის დაძლევის

¹⁹ Richard Youngs, [Ukraine's EU Membership and the Geostrategy of Democratic Self-Preservation](#), CARNEGIE EUROPE, 1 April 2022.

²⁰ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე შექმნილი თანამშრომლობის ფორმატი, რომლის მიზანი სამი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავებაა.

²¹ კახა გოგოლაშვილი, [კანდიდატის სტატუსის მომლოდინე საქართველო ევროპულ პერსპექტივას მიიღებს, რაზე გვაქვს სანერვიულო?](#), რონდელის ბლოგი, 20 ივნისი, 2022.

²² ნატალი საბანაძე, [საქართველოს ევროპული ოცნება: ახლოს, როგორც არასდროს, თუმცა მაინც შორს](#), საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP), 4 ივნისი, 2022.

ძალაუფლების განაწილების ელემენტების შემოღებითა და რეფორმების გატარების გზით²³. „შარლ მიშელის შეთანხმების“ ანულირების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ უარი განაცხადა ევროკავშირის შეღავათიანი მაკროფინანსური დახმარების პაკეტზე (75 მილიონი ევრო), რომლის მიღების ერთ-ერთი პირობა ფინანსთა სამინისტროსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების თანახმად, სასამართლო რეფორმის განხორციელებას უკავშირდებოდა²⁴. ფინანსურ დახმარებაზე ხელისუფლების უარი ევროპარლამენტარების ნაწილმა პროდასავლური რეფორმების გატარებაზე უარის ნიშნად აღიქვა²⁵. ბრიუსელთან ურთიერთობების დაზიანებას ხელი შეუწყო მმართველი პარტიის წამომადგენლების მიერ ევროპარლამენტარების კრიტიკამ და მათთვის ოპოზიციის ლობისტების წოდებამაც²⁶.

ერთობ არაერთგვაროვანი იყო საქართველოს მთავრობის რეაქცია უკრაინაში რუსეთის აგრესიაზე, რამაც დამატებითი განხეთქილება შეიტანა როგორც პოლიტიკურ სპექტრში, ისე ზოგადად ქართულ საზოგადოებაში. ერთი მხრივ, ხელისუფლების წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებში მხარს უჭერდნენ რუსეთის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მეორე მხრივ, მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან საკამათო განცხადებები კეთდებოდა როგორც ომის დაწყებასთან, ისე რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებთან მიერთებასა და მათ ეფექტურობასთან დაკავშირებით²⁷. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ომის დაწყებიდან მეექვსე დღეს, პრეზიდენტმა ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი ჯერ კონსულტაციებისთვის გაიწვია²⁸, ხოლო 31 მარტს ოფიციალურად მოაწერა ხელი ელჩის გაწვევის შესახებ გადაწყვეტილებას. მმართველმა პარტიამ უკრაინის ხელისუფლების ეს ნაბიჯი ქართული ოპოზიციის გავლენის ქვეშ მოქმედებად შეაფასა²⁹.

მეტწილად, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამოა, რომ ევროპულ საქმეთა კვლევის წამყვანმა ანალიტიკურმა ორგანიზაციამ - ევროპული პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (CEPS) საქართველოს განაცხადა ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ „საექვზო“ უწოდა³⁰. თუმცა, თუკი გადავხედავთ საქართველოს უახლეს ისტორიას, ევროინტეგრაციის პროცესში განვლილ გზას და მათ შორის, ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესს, დავინახავთ, რომ 3 მარტს

²³ interpressnews.ge, „ქართული ოცნება“ 19 აპრილის შეთანხმებას ანულირებულად აცხადებს, 28 ივლისი, 2021.

²⁴ radiotavisupleba.ge, „ოცნების“ უარი ევროკავშირის დახმარებას - რას ნიშნავს? ვის აწყობს?, 31 აგვისტო, 2021.

²⁵ radiotavisupleba.ge, უარი დახმარებაზე - უარი რეფორმებზე? - მწვავე გამოსმაურები ევროპარლამენტარებისგან, 01 სექტემბერი, 2021.

²⁶ civil.ge, ირაკლი კობახიძე კრიტიკოსებს მკაცრი განცხადებით პასუხობს, 14 ნოემბერი, 2021.

²⁷ civil.ge, პრემიერი: სანქციები არ არის ეფექტური საშუალება, უკრაინის დაბომბვას ვრავინ შეაჩერებს, 28 თებერვალი, 2022.

²⁸ radiotavisupleba.ge, ზელენსკიმ საქართველოდან ელჩი გაიწვია კონსულტაციებისთვის, 02 მარტი, 2022; radiotavisupleba.ge, ზელენსკიმ საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევას ხელი მოაწერა, 31 მარტი, 2022.

²⁹ civil.ge, ორმაგი სტანდარტი – ირაკლი კობახიძე უკრაინის ელჩის გაწვევას აკრიტიკებს, 03 მარტი, 2022.

³⁰ Michael Emerson, Steven Blockmans, [Georgia's dubious application for EU membership](https://www.ceps.europa.eu), European Policy Research Centre (CEPS), 20 May 2022.

ევროკავშირის წევრობის შესახებ განაცხადის ოფიციალურად წარდგენა ჩვენი ქვეყნის ევროპული გზის ლოგიკური გაგრძელებაა და ლეგიტიმური მისწრაფება, გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

3. ევროპული საბჭოს უარი კანდიდატის სტატუსზე, ევროპული პერსპექტივა და ევროკომისიის 12 პირობა კანდიდატის სტატუსის მისაღებად

ევროპულმა კომისიამ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადებზე მოსაზრება 2022 წლის 17 ივნისს გამოაქვეყნა³¹. მან რეკომენდაცია გაუწია უკრაინისა და მოლდოვასთვის როგორ ევროპული პერსპექტივის, ისე გარკვეულ პირობებთან ერთად, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას. რაც შეეხება საქართველოს, ევროკომისიამ მიიჩნია, რომ მას ამ ეტაპზე მხოლოდ ევროპული პერსპექტივა უნდა მინიჭებოდა და ევროპულ საბჭოს ურჩია, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხს ქვეყნის მხრიდან კონკრეტული პირობების შესრულების შემდეგ დაბრუნებოდა³².

საქართველოს შესახებ წარმოდგენილ მოსაზრებაში ევროკომისიამ აპლიკანტი ქვეყანა ე. წ. **კოპენჰაგენის კრიტერიუმების** მიხედვით შეაფასა, რომელთა შესრულება აუცილებელი პირობაა ევროპულ ბლოკში გასაწევრიანებლად³³. კოპენჰაგენის კრიტერიუმები, რომლებიც ევროპულმა საბჭომ 1993 წელს, დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გამართულ შეხვედრაზე დაამტკიცა, შემდეგ კრიტერიუმებს აერთიანებს:

- **პოლიტიკური კრიტერიუმი:** დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობა, სამართლის უზენაესობა, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის, უმცირესობების უფლებების პატივისცემა და დაცვა;
- **ეკონომიკური კრიტერიუმი:** ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და ევროკავშირში კონკურენციასა და საბაზრო ძალებთან გამკლავების უნარი;
- **ადმინისტრაციული და ინსტიტუციური შესაძლებლობები** ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაციისა და წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებების ეფექტურად შესრულებისთვის.

კოპენჰაგენის პოლიტიკურ კრიტერიუმთან მიმართებით ევროკომისია მიიჩნევს, რომ საქართველოს მყარი საფუძველი გააჩნია დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობის, კანონის უზენაესობისა თუ ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი

³¹ European Commission, [The European Commission recommends to Council confirming Ukraine, Moldova and Georgia's perspective to become members of the EU and provides its opinion on granting them candidate status](#), 17 June 2022.

³² European Commission, Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council, https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/european-commission-recommends-council-confirming-ukraine-moldova-and-georgias_en?s=232, COM(2022) 405 final, 17 June 2022.

³³ European Commission, [Accession criteria](#).

სტანდარტის მისაღწევად. თუმცა, აქვე ხაზგასმით მიუთითებს იმ გამოწვევებზე, რომელთა დაძლევა აუცილებელია ევროინტეგრაციის გზაზე შემდგომი პროგრესისთვის. ევროკომისიის მოსაზრებით, შემდგომი მუშაობაა საჭირო ქვეყანაში მწვავე პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრის, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, მაღალი დონის კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე - მედიის თავისუფლების დაცვის მიზნით.

ეკონომიკურ კრიტიციკულთან დაკავშირებით ევროკომისიამ აღნიშნა, რომ საქართველომ მაკროეკონომიკური სტაბილურობის კარგ ნიშნულს მიაღწია ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკისა და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს მეშვეობით, მაგრამ ამავე დროს, შემდგომი რეფორმები და ინვესტიციებია საჭირო ხანგრძლივ პერსპექტივაში ეკონომიკის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება წევრობის ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას, ევროპულმა კომისიამ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა სხვადასხვა სფეროებში ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით საქართველოს პროგრესის შესახებ.

ერთობ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ევროკომისიის მოსაზრებაში საქართველო **ევროპულ სახელმწიფოდ** არის მოხსენიებული, რომელსაც ევროპული ღირებულებების დაცვისა და ხელშეწყობის ვალდებულება აქვს აღებული.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ევროკომისიამ ევროპულ საბჭოს საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების რეკომენდაცია მისცა. ამასთან, პირობითობის პრინციპიც ამოქმედა და განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების შემთხვევაში ჩვენი ქვეყნისთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა.

ევროპული კომისიის 12 პრიორიტეტი:

- 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით, პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება;
- ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მათი დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების ეფექტურობის, ისევე როგორც ზედამხედველობის დემოკრატიული ფუნქციის გაძლიერება; არჩევნების საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის მიერ გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრის გზით;
- გამჭვირვალე და ეფექტიანი სასამართლო რეფორმის სტრატეგიისა და 2021 წლის შემდგომი სამოქმედო გეგმის მიღება და იმპლემენტაცია ფართო, ინკლუზიური და პარტიებს შორის შეთანხმებაზე ორიენტირებული

საკონსულტაციო პროცესის გზით; სრულიად და ნამდვილად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი სასამართლოს ჩამოყალიბება მართლმსაჯულების მთლიან ინსტიტუციურ ჯაჭვში; ასევე, ძალაუფლების დანაწილების პრინციპის უზრუნველყოფა; კერძოდ, მართლმსაჯულებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ყველა ორგანოს, განსაკუთრებით - უზენაესი სასამართლოს სათანადო ფუნქციონირებისა და კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა და ყველა ხარვეზის აღმოფხვრა, მათ შორის, ყველა დონეზე მოსამართლეებისა და გენერალური პროკურორის დანიშვნასთან დაკავშირებით; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმის გატარება და დარჩენილი წევრების დანიშვნა. ყველა ეს ღონისძიება სრულად უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს.

- ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობის გაძლიერება ყველა ძირითადი ანტიკორუფციული ფუნქციის გაერთიანებით და განსაკუთრებით მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებზე სათანადო რეაგირებით; სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მანდატის შესაბამისი რესურსებით აღჭურვა და მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

- „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულების შესრულება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების ჭარბი გავლენის შემცირების გზით;

- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საფრთხის დეტალურ შეფასებაზე დაფუძნებული ბრძოლის გაძლიერება; კერძოდ, სრულყოფილი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სარწმუნო ბრალდებისა და მსჯავრდების გამოცდილების უზრუნველყოფით; სამართალდამცავი ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა;

- ძალისხმევის გაძლიერება თავისუფალი, პროფესიონალური, პლურალისტული და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, კერძოდ - მედიაკომპანიების მფლობელების მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი პროცედურების უმაღლესი სამართლებრივი სტანდარტების შესაბამისად წარმართვით და ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებულ მუქარის ფაქტებზე ეფექტური და დროული გამოძიების წამოწყებით;

- მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი უფლებების დაცვის გაძლიერების დაჩქარება, მათ შორის, ძალადობის ჩამდენი და წამქეზებული პირების მიმართ მართლმსაჯულების უფრო ეფექტიანად განხორციელების გზით;

- გენდერული თანასწორობის გასაუმჯობესებლად და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ძალისხმევის გაძლიერება;

- ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა;

- ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინებას;
- ახალი სახალხო დამცველის დანიშვნისას დამოუკიდებელი კანდიდატის ნომინირებისა და შერჩევის გამჭვირვალე პროცესის უზრუნველყოფა; სახალხო დამცველის ოფისის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ეფექტიანი დაცვა.

გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, ევროკომისია დასახული პრიორიტეტების შესრულების მიმართულებით საქართველოს პროგრესს 2022 წლის ბოლოს შეაფასებს და შესაბამის ანგარიშს გამოაქვეყნებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, 23-24 ივნისის ევროპულმა საბჭომ ევროკომისიის რეკომენდაცია გაითვალისწინა და გადაწყვიტა, რომ საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მას შემდეგ მიანიჭებს, რაც ჩვენი ქვეყანა ევროკომისიის მიერ განსაზღვრულ პირობებს შეასრულებს³⁴.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 14 ივლისს ცნობილი გახდა ევროკომისიის გადაწყვეტილების შესახებ, რომლის თანახმადაც რეკომენდაციების შესრულების კუთხით საქართველოს პროგრესის შეფასება 2023 წელს მოხდება. როგორც ევროკომისარმა, მაიკლ რუპმა განმარტა, ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმით, რომ ქვეყანას მეტი დრო მიეცეს დეპოლარიზაციისა და რეფორმებზე მუშაობისთვის³⁵.

4. საქართველოს მთავრობის პასუხი ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებაზე და სამომავლო გეგმები

საქართველოს ხელისუფლება ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას ქვეყნისთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ პოზიტიურად გამოეხმაურა. პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, 24 ივნისს მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ევროპული პერსპექტივა დამსახურებულად მიენიჭა³⁶. მთავრობის მეთაურის შეფასებით, „ეს არის აღიარება ჩვენი ხალხის ევროპული იდეალებისადმი მისწრაფების, მათი ერთგულების, ჩვენი შეუპოვრობის, პრინციპულობის, ბრძოლის და მთავრობის 10-წლიანი მუშაობის შედეგის აღიარება“. იქვე, პრემიერ-მინისტრმა სრული მზაობა გამოხატა ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესასრულებლად, რამაც კანდიდატი ქვეყნის

³⁴ European Council, [European Council meeting \(23 and 24 June 2022\), Conclusions](#), 24 June 2022, para. 13.

³⁵ oc-media.org, [EU pushes back re-examining Georgia's candidacy until 2023](#), 14 July 2022.

³⁶ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური, [პრემიერის ბრიფინგი](#), 24 ივნისი, 2022.

სტატუსის დროული მოპოვება უნდა უზრუნველყოს. ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპულ პერსპექტივასთან ერთად კანდიდატის სტატუსის მოპოვება მიულოცა უკრაინასა და მოლდოვას, მაგრამ აღნიშნა, რომ მათ ეს სტატუსი მიიღეს როგორც ერთგვარი „წამახალისებელი საჩუქარი“.

მმართველი პარტიის სახელით, საქართველოს ევროპული პერსპექტივის ოფიციალურად აღიარებას „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა³⁷. მან ევროპული პერსპექტივის მოპოვება საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთ დიდ ნაბიჯად შეაფასა და ევროპულ ინსტიტუტებს მადლობა გადაუხადა ქვეყნის მხარდაჭერისთვის. კობახიძემ კანდიდატის სტატუსის მოპოვება მიულოცა უკრაინას და მოლდოვას და აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება, რომელიც ევროპულმა ინსტიტუტებმა პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით მიიღეს, სოლიდარობის გამოხატულება იყო „ომის მდგომარეობაში მყოფი უკრაინისა და სამხედრო კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე მოლდოვას მიმართ“.

2022 წლის 1 ივლისს მმართველმა პარტიამ ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 რეკომენდაციის შესრულების კონკრეტული გეგმა წარმოადგინა³⁸.

³⁷ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადება, 24 ივნისი, 2022.

³⁸ gd.ge, მმართველი პარტიის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ ევროკავშირის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესრულების კონკრეტული გეგმა წარადგინა, 1 ივლისი, 2022.

„ქართული ოცნების“ გეგმა ევროკომისიის მიერ დადგენილი 12 პუნქტის შესასრულებლად

<p align="center"><u>პუნქტი 1.</u></p> <p>პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირება</p>	<p>დეპოლარიზაციის ხელშესაწყობად, საქართველოს პარლამენტის ბაზაზე შეიქმნება პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფი ყველა საპარლამენტო პარტიის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით. ჯგუფი განახორციელებს პერმანენტულ მონიტორინგს და საზოგადოებას წარუდგენს ყოველკვირეულ ანგარიშს პოლარიზაციის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ.</p>
<p align="center"><u>პუნქტი 2.</u></p> <p>სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირება, საპარლამენტო ზედამხედველობა, საარჩევნო კანონმდებლობა;</p>	<p>საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი ყველა საპარლამენტო პარტიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც უზრუნველყოფს საპარლამენტო ზედამხედველობის სფეროში პარლამენტის რეგლამენტის აღსრულების ყოვლისმომცველ შეფასებას და მოამზადებს საკანონმდებლო ინიციატივას გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.</p> <p>შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარუდგინება არაუგვიანეს 21 სექტემბრისა და მიიღება არაუგვიანეს 1 ნოემბრისა.</p> <p>საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შეიქმნება საარჩევნო კოდექსის რევიზიის სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან პარლამენტარები ყველა საპარლამენტო პოლიტიკური პარტიიდან, აგრეთვე - ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. მომზადდება ცვლილებები საქართველოს საარჩევნო კოდექსში, სადაც სათანადოდ იქნება ასახული ეუთო-ოდირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციები.</p> <p>შესაბამისი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარუდგინება არაუგვიანეს 21 სექტემბრისა და პარლამენტი მიიღებს არაუგვიანეს 13 დეკემბრისა. მეორე მოსმენით მიღებამდე, კანონპროექტი დასკვნისთვის გაეგზავნება ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს.</p>

პუნქტი 3.

სასამართლო რეფორმა,
გენერალური პროკურორის
არჩევის წესის ცვლილება და
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
არამოსამართლე წევრების
არჩევა;

იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან არსებული სასამართლოს რეფორმის სამუშაო ჯგუფი აქტიურად განაახლებს მუშაობას და სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის სიდრმისეული ანალიზის საფუძველზე, მოამზადებს როგორც სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, ისე შესაბამისი კანონპროექტების პაკეტს.

სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მომზადდება და გამოქვეყნდება 1 ოქტომბრამდე, რის საფუძველზეც საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდება და საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება 1 ნოემბრამდე. კანონპროექტი ინიცირებისთანავე დასკვნისთვის გაეგზავნება ვენეციის კომისიასა და ეუთო-ოდირს. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა დაიწყება ვენეციის კომისიიდან და ეუთო-ოდირიდან დასკვნის მიღებისთანავე.

კონსტიტუციური კანონის პროექტი გენერალური პროკურორის არჩევის წესის შესახებ საქართველოს პარლამენტში დაინიცირდება 1 სექტემბრამდე, ხოლო პარლამენტი მიიღებს არაუგვიანეს 29 ნოემბრისა. კონსტიტუციური კანონის მიღებას კოორდინაციას გაუწევს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა შესარჩევ კონკურსს საქართველოს პარლამენტი გამოაცხადებს არაუგვიანეს 30 სექტემბრისა, ხოლო კენჭისყრა საბჭოს წევრთა ასარჩევად ჩატარდება არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

პუნქტი 4.

ანტიკორუფციული
დონისძიებები;

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოამზადებს ანტიკორუფციული ფუნქციების კონსოლიდაციის კონცეფციას და წინადადებებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იქნებიან პარლამენტის წევრები ყველა საპარლამენტო პარტიიდან, აგრეთვე მთავრობის ადმინისტრაციის, პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

	<p>შესაბამისი კანონპროექტები პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება არა უგვიანეს 19 ოქტომბრისა, ხოლო პარლამენტის მიერ მიიღება 1 დეკემბრამდე.</p>
<p><u>პუნქტი 5.</u> დეოლიგარქიზაცია;</p>	<p>საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ყველა საპარლამენტო პარტიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფი იმუშავებს დეოლიგარქიზაციის კანონპროექტზე, რომელიც საქართველოს პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა და პარლამენტი მიიღებს არაუგვიანეს 29 ნოემბრისა.</p>
<p><u>პუნქტი 6.</u> ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა და სამართალდამცავი ორგანოების ზედამხედველობა;</p>	<p>პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევლენ პარლამენტის წევრები ყველა საპარლამენტო პარტიიდან, აგრეთვე პროკურატურის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.</p> <p>სამუშაო ჯგუფი 1 ნოემბრამდე მოამზადებს არსებული მდგომარეობის სიღრმისეულ შეფასებას და შეიმუშავებს წინადადებებს ხარვეზების გამოსწორებისა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების თაობაზე.</p>
<p><u>პუნქტი 7-8.</u> სათანადო მედიაგარემოს უზრუნველყოფა, ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება და მოწყვლადი ჯგუფების წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირება;</p>	<p>პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, საქართველოს პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას ყველა შესაბამისი საქმის გამოძიების შესახებ.</p>

<p><u>პუნქტი 9.</u></p> <p>გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა;</p>	<p>საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი და გენდერული თანასწორობის საბჭო წარმართავენ აქტიურ სამუშაო პროცესს, რათა მომზადდეს საკანონმდებლო წინადადებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კიდევ უფრო ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად. შესაბამისი კანონპროექტების პაკეტი პარლამენტს ინიციატივის წესით წარედგინება არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა, ხოლო პარლამენტი მიიღებს არაუგვიანეს 15 ნოემბრისა.</p>
<p><u>პუნქტი 10.</u></p> <p>გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა;</p>	<p>საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კოორდინაციას გაუწევს ევროკავშირის პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ეფექტიან ჩართულობას. უზრუნველყოფილი იქნება ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმების შენარჩუნება ევროკავშირის პირობებზე მუშაობის დასრულების შემდეგაც.</p>
<p><u>პუნქტი 11.</u></p> <p>სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიული გათვალისწინება ქართული სასამართლოს მიერ;</p>	<p>პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის აღსრულების პროცედურების გათვალისწინებით, შესაბამის კანონპროექტს მოამზადებს და პარლამენტს ინიციატივის წესით წარუდგენს 1 სექტემბრამდე. კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს და მიიღებს არაუგვიანეს 18 ოქტომბრისა.</p>
<p><u>პუნქტი 12.</u></p> <p>სახალხო დამცველის არჩევა.</p>	<p>საპარლამენტო უმრავლესობა საპარლამენტო ოპოზიციას 1 სექტემბრამდე შესთავაზებს სახალხო დამცველის კანდიდატურების შერჩევის ინკლუზიურ პროცედურას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახალხო დამცველის პოზიციაზე იმგვარი პირის წარდგენა, რომელიც იქნება თანაბრად მისაღები უმრავლესობისა და ოპოზიციისთვის და შესაბამისად, მაღალი ლეგიტიმაციით იქნება არჩეული. კენჭისყრა სახალხო დამცველის ასარჩევად შედგება არა უგვიანეს 1 დეკემბრისა.</p>

ამ დრომდე პარლამენტის ბაზაზე უკვე შეიქმნა საქართველოს სასამართლოებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პროაქტიულად გათვალისწინების საკითხთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ხელმძღვანელობს³⁹. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის ხელმძღვანელობით, განახლდა სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის მუშაობა⁴⁰. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის პროექტს შეიმუშავებს⁴¹. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიმართულებით იმუშავებს⁴². გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ევროკომისიის მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი რეკომენდაციის შესრულებაზე დაიწყეს მუშაობა⁴³.

სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მმართველი პარტიის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ოპოზიციის ნაწილისა⁴⁴ და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებიც. ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად სამუშაო პროცესის ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს პლატფორმის ფორმატში, 19 ივლისს შეხვედრა გამართა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, რომელსაც არაერთი ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი ესწრებოდა⁴⁵.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველმა პარტიამ უარი განაცხადა რიგგარეშე სესიაში მონაწილეობაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, 15 ივლისს 5 ოპოზიციური პარტიისა და დამოუკიდებელი დეპუტატების ინიციატივით მოიწვია⁴⁶. „ქართულ ოცნებაში“ ეს გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ რიგგარეშე სხდომაზე განსახილველი საკითხები საკომიტეტო მოსმენებზე არ იყო განხილული, რაც პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, შეუძლებელს ხდიდა მათ

³⁹ parliament.ge, [ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ახალშექმნილმა სამუშაო ჯგუფმა პირველი გაფართოებული ფორმატის შეხვედრა გამართა](#); 13 ივლისი, 2022.

⁴⁰ parliament.ge, [პარლამენტში სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა](#); 11 ივლისი, 2022.

⁴¹ parliament.ge, [შალვა პაპუაშვილი ევროკავშირის რეკომენდაციებთან დაკავშირებით, საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდა](#), 19 ივლისი, 2022.

⁴² parliament.ge, [ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიმართა](#), 20 ივლისი, 2022.

⁴³ parliament.ge, [პარლამენტმა ევროკავშირის მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი რეკომენდაციის შესრულებაზე მუშაობა დაიწყო](#), 13 ივლისი, 2022.

⁴⁴ „გირჩი“, „ევროპელი სოციალისტები“, „მოქალაქეები“, „პარტია საქართველოსთვის“.

⁴⁵ parliament.ge, [შალვა პაპუაშვილი ევროკომისიის რეკომენდაციებთან დაკავშირებით სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა](#), 19 ივლისი, 2022.

⁴⁶ interpressnews.ge, [„ქართული ოცნება“ პარლამენტის რიგგარეშე სესიაში მონაწილეობას არ მიიღებს](#), 18 ივლისი, 2022.

განხილვას სასესიო სხდომაზე⁴⁷. გარდა ამისა, უმრავლესობის დეპუტატების განცხადებით, ეს პროცესი მხოლოდ პოლარიზაციის გაღრმავებას შეუწყობდა ხელს⁴⁸.

მმართველ გუნდში პოლარიზაციისა და დაპირისპირების რეჟიმის შენარჩუნების მცდელობად შეაფასეს საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილის მიერ ინიცირებული ალტერნატიული ფორმატიც, რომლის მიზანი ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პუნქტის შესრულების ხელშეწყობაა⁴⁹. კერძოდ, კრიტიკის ობიექტებად იქცნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და „ლელო“, რომლებიც „ქართული ოცნების“ მიერ პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფებს არ შეუერთდნენ და პარალელურ ფორმატში, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით აპირებენ ევროკავშირის პირობების შესრულებისკენ მიმართული კანონპროექტების მომზადებას და საშემოდგომო სესიაზე წარდგენას⁵⁰.

5. სამოქალაქო საზოგადოების რეაქცია ევროპული ინსტიტუტების გადაწყვეტილებაზე

ევროპული კომისიის რეკომენდაცია ევროპული საბჭოსადმი, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის ნაცვლად ევროპული პერსპექტივის მინიჭების თაობაზე სამოქალაქო საზოგადოებამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების წარუმატებლობად და ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე ჩავარდნად აღიქვა. ამის საპასუხოდ, სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიამ“ დააორგანიზა აქცია ლოზუნგით „მინ ევროპისკენ“, რომლის მიზანი ბრიუსელისთვის ქართველი ხალხის პროევროპული გზავნილების მიწოდება იყო⁵¹. 20 ივნისს, რუსთაველის გამზირზე, საქართველოს ევროპული არჩევანის დასაცავად ათიათასობით მოქალაქე შეიკრიბა, რომლებმაც კიდევ ერთხელ გამოხატეს ერთგულება ევროპული კურსისადმი და მხარი დაუჭირეს ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას⁵².

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭების ხელშეწყობის მიზნით, რუსთაველის გამზირზე ფართომასშტაბიანი აქციები კიდევ ორჯერ - 24 ივნისსა და 3 ივლისს გაიმართა მოძრაობა „გადადგი ნაბიჯი ევროპისკენ“⁵³ წარმომადგენლების, არასამთავრობო სექტორის ნაწილისა და სამოქალაქო აქტივისტების ორგანიზებით. ევროპული კურსის მხარდაჭერასთან ერთად, აქციის მონაწილეებმა „ქართული ოცნების“

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ interpressnews.ge, [გია ვოლსკი ოპოზიციის ალტერნატიულ სამუშაო პროცესზე - ეს არის პოლარიზაციისა და დაპირისპირების რეჟიმის შენარჩუნების მცდელობა](http://interpressnews.ge), 25 ივლისი, 2022.

⁵⁰ radiotavisupleba.ge, [ორი ფორმატი 12 პუნქტისთვის - როგორ მოახერხებენ მმართველი და ოპოზიციური პარტიები შეთანხმებას?](http://radiotavisupleba.ge) 25 ივლისი, 2022.

⁵¹ [Civil.ge](http://civil.ge), [ევროპული მომავლის დასაცავად თბილისში ათიათასობით მოქალაქე შეიკრიბა](http://civil.ge), 21 ივნისი, 2022.

⁵² dw.com, [Tens of thousands rally to defend Georgia's European future](http://dw.com), 21 June 2022.

⁵³ radiotavisupleba.ge, [„გადადგი ნაბიჯი ევროპისკენ“ - ახალი სამოქალაქო ინიციატივა](http://radiotavisupleba.ge), 27 მაისი, 2022.

მთავრობის გადადგომის მოთხოვნა და ეროვნული თანხმობის „ტექნიკური მთავრობის“ ფორმირების იდეა გააჟღერეს, რომელიც ხელისუფლების, ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების კონსენსუსით შეიქმნებოდა და ქვეყანას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების გზაზე უხელმძღვანელებდა⁵⁴.

„ტექნიკური მთავრობის“ იდეის პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა ევროპული კომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად სამოქმედო გეგმა - „12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის“ წარმოადგინა, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანი რეფორმების იმ აბსოლუტურ მინიმუმს შეიცავს, რაც აუცილებელია კანდიდატის სტატუსის მისაღებად და რომელთა განხორციელება ადვილად შეიძლება 2022 წლის ბოლომდე, პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში⁵⁵.

2022 წლის 27 ივნისს სამოქალაქო საზოგადოებამ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა ოფიციალურ პრეზენტაციაზე წარმოადგინა, რომელსაც ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ⁵⁶. დოკუმენტის წარდგენის დონისძიებას არ დაესწრო მმართველი პარტია. პრეზენტაციისას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს ევროკავშირის მხრიდან რეკომენდაციების შესრულების ვადებისა და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მნიშვნელობას, რაც კიდევ უფრო დაეხმარება სამოქალაქო სექტორს, რომ რეკომენდაციების შესრულების ზედამხედველობის გზით გაზარდოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულება⁵⁷.

⁵⁴ radiotavsupeba.ge, [რას ნიშნავს ეროვნული თანხმობის მთავრობა - შოთა დიღმელაშვილის განმარტება](#), 24 ივნისი, 2022.

⁵⁵ osgf.ge, [12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის](#), 3 ივლისი, 2022.

⁵⁶ osgf.ge, [რა უნდა გაკეთდეს ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად, სამოქალაქო საზოგადოების ხელა](#), 27 ივლისი, 2022.

⁵⁷ იქვე.

არასამთავრობო ორგანიზაციების გეგმა - 12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის

<p><u>ნაბიჯი 1.</u></p> <p>პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის გადაჭრა პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით, 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით;</p>	<p>პარლამენტში ძალაუფლების განაწილებასთან დაკავშირებით 19 აპრილის შეთანხმებაში შემოთავაზებული იყო, რომ:</p> <p>i) პარლამენტში, 5 კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა უნდა დაიკავონ საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა. ამ ხუთ კომიტეტს შორის, ორი სავალდებულოდ უნდა იყოს საფინანსო-საბიუჯეტო და ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტები. დანარჩენი სამი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი იქნება, განისაზღვრება ოპოზიციასა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის შეთანხმებით.</p> <p>ii) ერთ-ერთი მუდმივი საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე საპარლამენტო ოპოზიციის წევრი უნდა იყოს.</p> <p>პარლამენტმა ცვლილებები უნდა შეიტანოს პარლამენტის რეგლამენტში.</p> <p>შენიშვნა: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიმუშავეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის წარდგენაც დაუყოვნებლივ არის შესაძლებელი პარლამენტისთვის.</p>
<p><u>ნაბიჯი 2.</u></p> <p>უზრუნველყოფილ უნდა იქნას ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გაძლიერდეს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები; კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, აღმოიფხვრას ყველა</p>	<p>1. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება - შესაბამისი ცვლილებები პარლამენტმა უკვე მიიღო პირველი მოსმენით. საჭიროა კიდევ ორი მოსმენა საბოლოო დამტკიცებისთვის.</p> <p>2. 19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების მიხედვით საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღება:</p> <p>i) ცესკოს თავმჯდომარე და პროფესიული წევრები აირჩევიან პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და პროფესიული წევრების ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის მექანიზმი იქნება შემდეგნაირად:</p>

ხარვეზი, რომელიც ამ პროცესების დროს უუთო/ოდირისა და ევროპის საბჭომ/ ვენეციის კომისიამ გამოავლინა;

1. პირველი ორი მცდელობა საჭიროებს ორი მესამედის უმრავლესობას. მესამე მცდელობა - სამი მეხუთედის უმრავლესობას. შემდგომი მცდელობა - უბრალო უმრავლესობას.

2. კენჭისყრა არ უნდა ჩატარდეს, თუ წინა კენჭისყრიდან სულ მცირე 4 კვირა არ არის გასული.

3. ნებისმიერი დანიშვნა განხორციელებული ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლის მექანიზმით (2/3-ზე ნაკლებით) უნდა იყოს დროებითი, შეზღუდული ექვსი თვის ვადით, რომლის განმავლობაშიც ხელახლა უნდა დაიწყოს დანიშვნის სტანდარტული პროცედურა.

ii) ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ისინი არ შეინარჩუნებენ მოვალეობის შემსრულებელ თანამდებობებს ახალი წევრების დანიშვნამდე და თანამდებობას დატოვებენ.

შენიშვნა: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შეიმუშავეს საკანონმდებლო ინიციატივა და მისი წარდგენა პარლამენტში უმოკლეს ვადაშია შესაძლებელი.

3. **საპარლამენტო უმრავლესობამ უნდა აიღოს ვალდებულება, რომ ცესკოს შემდეგი თავმჯდომარე და პროფესიული წევრები დაინიშნოს პარლამენტის ორი მესამედის მიერ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პოლიტიკური დეპოლარიზაცია და ნდობა საარჩევნო პროცესის მიმართ.**

ნაბიჯი 3.

მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2022 წლის შემდგომი პერიოდისთვის, რომელიც ეფუძნება ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ

1. **სასამართლო რეფორმის ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება** - სამოქმედო გეგმა უნდა შემუშავდეს ინკლუზიურ და მრავალპარტიულ ფორმატში, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობით. სასამართლო რეფორმის სტრატეგია უნდა დამტკიცდეს ყველა აქტორის, მათ შორის, სახალხო დამცველის ფართო მხარდაჭერით.

2. **განახორციელოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმა:**

საკონსულტაციო პროცესს, უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების მთელი ჯაჭვი იყოს სრულად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული, და მიუკერძოებელი, ასევე დაიცვას შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება; სახელდობრ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი და გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე, გენერალური პროკურორის შემთხვევაში; გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები. ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით;

i) მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ორმაგი 2/3-ის საფუძველზე (ამ პრინციპის მიხედვით, გადაწყვეტილება საჭიროებს მოსამართლე წევრების 2/3-ის და არამოსამართლე წევრების 2/3-ის თანხმობას).

ii) პოლიტიკურ კონსენსუსს უნდა ეფუძნებოდეს პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნის გადაწყვეტილებაც. უნდა დაინერგოს „ორმხრივი“ (საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის თანხმობით) დანიშვნის პრინციპი, ან დადგინდეს პარლამენტის სრული შემადგენლობის მაღალი კვორუმი - 3/5. ეს გამორიცხავს უზენაესი სასამართლოს ფორმირებას ოპოზიციის თანხმობის გარეშე.

შენიშვნა: რეფორმა საჭიროებს ცვლილებას საერთო სასამართლოების შესახებ კანონში

3. დაინიშნონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დარჩენილი არამოსამართლე წევრები - მომდევნო სესიაზე პარლამენტმა ხუთი არამოსამართლე წევრი უნდა აირჩიოს. კანდიდატი უნდა იყოს მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და კომპეტენტური. საბჭოში უნდა დაინიშნოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე კანდიდატები, რომელთა თაობაზეც პოლიტიკურ პარტიებს შორის ფართო კონსენსუსი იქნება. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის ძალთა ბალანსს საბჭოში, შექმნის ახალ სიმძიმის ცენტრს ხუთი დამოუკიდებელი წევრით.

4. შეფასდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ყველა ბოლოდროინდელი დანიშვნა და საჭიროების შემთხვევაში გადაიხედოს დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები.

i) არაფორმალური მმართველობის („კლანური მმართველობის“) შეფასებისთვის უნდა შეიქმნას მრავალპარტიული საპარლამენტო კომისია, რომლის საფუძველზეც პარლამენტი მიიღებს დადგენილებას სასამართლო სისტემაში არსებულ პრობლემებზე.

ii) მას შემდეგ, რაც პარლამენტი შეაფასებს მართლმსაჯულების სისტემაში არაფორმალური გავლენების პრობლემას, შესაძლოა საჭირო გახდეს სასამართლოს

სისტემური განახლება, მათ შორის, თანამდებობასთან შესაბამისობის ხელახალი შემოწმება.

5. გენერალური პროკურორის დანიშვნის წესში ცვლილებების შეტანა - 19 აპრილის სეთანხმების შესაბამისად, გენერალური პროკურორის დანიშვნის წესი უნდა შეიცვალოს. გენერალური პროკურორი უნდა დანიშნოს პარლამენტმა ხმების 3/5-ის უმრავლესობით.

შენიშვნა: პარლამენტში უკვე ინიცირებული ცვლილებების პაკეტს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულებისთვის საკანონმდებლო ცვლილებების მიღება.

შენიშვნა: საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების შესაბამისი პაკეტი უკვე ინიცირებულია, თუმცა კანონპროექტის განხილვა შეჩერებულია.

ნაბიჯი 4.

გააძლიეროს

ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც თავს მოუყრის ყველა საკვანძო ანტიკორუფციულ ფუნქციას;

განსაკუთრებით კი

საგულდაგულოდ გადაჭრას მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები; აღჭურვოს

ახლადდაარსებული

სპეციალური საგამოძიებო

სამსახური და პერსონალურ

მონაცემთა დაცვის სააგენტო იმ რესურსებით, რომლებიც მათ

მანდატს შეესაბამება და

უზრუნველყოს მათი

ინსტიტუციური

დამოუკიდებლობა;

1. ანტიკორუფციული სააგენტო - ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ კანონპროექტი, რომელიც უკვე ინიცირებულია პარლამენტში, აერთიანებს სამ ანტიკორუფციულ დეპარტამენტს, რომლებიც ამჟამად გაფანტულია სხვადასხვა ინსტიტუტებში (ანტიკორუფციული სააგენტო - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტი და საჯარო სამსახურის ბიუროს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მონიტორინგის დეპარტამენტი) და აყალიბებს დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომელსაც ევალება კორუფციასთან, მათ შორის, მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გაძლიერება - სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის დანიშვნის წესი უნდა შეიცვალოს. კანდიდატის დანიშვნა უნდა მოხდეს პარლამენტის მიერ, პოლიტიკური კონსენსუსის საფუძველზე (შესაძლოა პარლამენტის 3/5-ის უმრავლესობით).

<p>ნაბიჯი 5. „დეოლიგარქიზაციის“ პირობისადმი ერთგულება, რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით;</p>	<p>ამ 12-პუნქტიანი ჩამონათვალის ყველა სხვა პირობის შესრულებამ ავტომატურად უნდა გამოიწვიოს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე ოლიგარქიული გავლენის შემცირება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოპოზიციის ჩართულობით მთავარი პროკურორის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების და ცესკოს თავმჯდომარის დანიშვნის ახალი წესის მიღება, ასევე ანტიკორუფციული სააგენტოს გამოყოფა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან და მისი დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბება.</p>
<p>ნაბიჯი 6.</p> <p>ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საფრთხის დეტალურ შეფასებებს, კერძოდ, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების სანდო გამოცდილების უზრუნველყოფის გზით; სამართლებრივი უწყებების ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა უნდა იყოს გარანტირებული;</p>	<p>სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ შესაბამისი შესაძლებლობები და რესურსები, ასევე საკანონმდებლო ბაზა, რათა ეფექტურად დაძლიონ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემები. ეს პირობა მოითხოვს პრაქტიკის გაუმჯობესებას.</p>
<p>ნაბიჯი 7.</p> <p>უფრო ძლიერი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად; განსაკუთრებით იმისათვის,</p>	<p>1. ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს კრიტიკული მედიასაშუალებების მიმართ მიმდინარე გამოძიებები და სასამართლო პროცესები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ოფისის მიერ პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებად არის მიჩნეული. ხელისუფლების ნების დემონსტრირება შეიძლება იყოს ტელეკომპანია „მთავარი არხის“</p>

მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს, და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების შემთხვევებზე;

დირექტორისა და დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას ციხიდან განთავისუფლება. არსებობს რამდენიმე სამართლებრივი გზა, რათა აღსრულდეს ეს ნება, მათ შორის პრეზიდენტის შეწყობა.

2. პროკურატურამ, მედიის, სამოქალაქო საზოგადოების, ორგანიზაციებისა და ომბუდსმენის ოფისის მიერ შეგროვილი მრავალი მტკიცებულების გათვალისწინებით, უნდა განაახლოს **მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიება 2021 წლის 5-6 ივლისს მედიის წარმომადგენლების მიმართ ძალადობის ორგანიზატორებისა და შემსრულებლების წინააღმდეგ.** ხელისუფლებამ უნდა დაიწყოს გამოძიება მედიის წარმომადგენლების მასიური ფარული მიყურადება/თვალთვალის საქმეებზე, ხოლო დაწყებული გამოძიებები ბოლომდე მიიყვანოს.

პარლამენტმა, ფართო კონსენსუსის საფუძველზე, უნდა უზრუნველყოს მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ჰარმონიზება ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან; განსაკუთრებით ეს საჭიროა თანარეგულირების ეფექტურ სისტემასთან მიმართებით, რომელსაც სთავაზობს სამოქალაქო საზოგადოება და ჟურნალისტური გაერთიანებები, რომლის მიხედვითაც ეთიკური დავები უნდა გადაწყდეს სპეციალური პროფესიული საბჭოს მიერ და არა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, რომლის როლი არ უნდა აღემატებოდეს მის ამჟამინდელ სამართლებრივ მანდატს.

ნაბიჯი 8.

სასწრაფოდ გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, მოძალადეების და ამ ძალადობის დამკვეთების მართლმსაჯულებისადმი უფრო შედეგიანად წარდგომის გზით;

1. **სრულყოფილად იქნას გამოძიებული 2021 წლის 5 ივლისს დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის ორგანიზატორები პასუხისგებაში იქნან მიცემულნი.**

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მიღება, რომელიც მოიცავს ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური პოლიტიკის შემუშავებას და მათ შორის, საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარებას, რომელიც მიმართული საზოგადოებაში ჰომოფობიისა და

	<p>ქსენოფობიის შემცირებაზე. ასევე, სპეციალური მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც გაზრდის ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ წარმომადგენლობას და მონაწილეობას, მათ შორის, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე დემოკრატიული, ინკლუზიური და რეგულარული საკონსულტაციო მექანიზმის შექმნას, რომელშიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულნი იქნებიან დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტივისტები და ორგანიზაციები ეთნიკური უმცირესობების თემიდან.</p>
<p><u>ნაბიჯი 9.</u></p> <p>გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ;</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. სქესობრივი დანაშაულები, მათ შორის გაუპატიურების მუხლი, მოვიდეს შესაბამისობაში სტამბულის კონვენციასთან. 2. დამტკიცდეს გენდერული ძალადობის და ოჯახში ძალადობის ახალი სამოქმედო გეგმა. 3. სერვისებზე ხელმისაწვდომობისათვის გაუქმდეს „მსხვერპლის სტატუსის“ მოთხოვნა.
<p><u>ნაბიჯი 10.</u></p> <p>უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე;</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ღია მმართველობის პარტნიორობის ფორმატი უფრო ეფექტური გახდეს. უფრო კონკრეტულად, მთავრობის ადმინისტრაციამ ღია მმართველობის საბჭოს კენჭისყრის დროს სამოქალაქო საზოგადოების წევრების მიერ შემოთავაზებული მინიმუმ 2 მთავარი (ე.წ. ვარსკვლავური) ვალდებულება უნდა აიღოს. <p>მთავრობის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართულობა ეროვნული დონის პოლიტიკის/სტრატეგიის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.</p>
<p><u>ნაბიჯი 11.</u></p> <p>მიღებულ იქნეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენებს თავიანთ გადაწყვეტილებებში;</p>	<p>საქართველოს საერთო სასამართლოებისთვის გაიდლაინების მიღება, რომელიც მოითხოვს ECtHR პრაქტიკის პროაქტიულ გამოყენებას. ეს უნდა გაკეთდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.</p>

<p>ნაბიჯი 12.</p> <p>უზრუნველყოფილ იქნას, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭოს დამოუკიდებელ კანდიდატს და პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ; დაცული უნდა იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.</p>	<p>კანდიდატის მრავალპარტიული კონსულტაციების შეთანხმება უნდა მოხდეს გზით. დანიშნა პარლამენტში ორმხრივი (ოპოზიციის უმრავლესობამ ასევე უნდა დაუჭიროს მხარი დანიშვნას) მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს.</p>
--	---

სამოქალაქო სექტორის ცალკეული წარმომადგენლები ჩართულნი არიან მმართველი გუნდის მიერ ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად პარლამენტის ბაზაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფების მუშაობაშიც, სადაც კონკრეტულ სფეროებში ექსპერტიზის გაზიარებასთან ერთად, ამა თუ იმ საკითხზე მათი ხედვების აღვოკატირებას ეწევიან. ამასთანავე, სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი მონაწილეობას იღებს ოპოზიურ პარტიებთან გამართულ კონსულტაციებში, სადაც ევროკავშირის 12 პირობის შესრულების მიზნით კანონპროექტების მომზადება და შემდგომში მათი ინიცირება იგეგმება⁵⁸.

6. საქართველოს პერსპექტივები კანდიდატის სტატუსის მისაღებად - რა იქნება შემდეგ?

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება ევროპულ ბლოკში გაწევრიანების პირველი ოფიციალური ნაბიჯი და ამ მიმართულებით შემდგომი წინსვლის წინაპირობაა, ამ ეტაპზე, საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღმა დატოვება და მისთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭება ნიჰილიზმის საფუძველს არ იძლევა. ევროპული პერსპექტივის აღიარება ევროკავშირში ინსტიტუციური ინტეგრაციის გზაზე დადგომას ნიშნავს და პოტენციური კანდიდატი ქვეყანა, ფინანსური დახმარების, პოლიტიკური დიალოგისა თუ ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობის კუთხით, თითქმის იგივე პრივილეგიებით სარგებლობს რითაც კანდიდატი სახელმწიფო⁵⁹. ამასთან, ევროპეიზაციის პროცესში კანდიდატის

⁵⁸parliament.ge, [საპარლამენტო ოპოზიციის წევრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ](#), 22 ივლისი, 2022.

⁵⁹ იხ. გოგოლაშვილი, სქოლიო 21.

სტატუსის მინიჭებაზე უარი და პირობითობის ამოქმედება უნიკალური არ არის საქართველოსთვის და ევროკავშირის გაფართოების ისტორიაში ამგვარ გამოწვევასთან გამკლავება არაერთ წევრ ქვეყანას მოუხდა⁶⁰. ამიტომ, ახლა მნიშვნელოვანია ის, თუ როგორი იქნება ქვეყნის პასუხი ევროკავშირის პირობაზე, შეასრულოს ევროკომისიის 12 რეკომენდაცია.

ბოლო წლების განმავლობაში მთელი რიგი რეფორმების წარმატებით განხორციელებით საქართველომ ნათლად აჩვენა, რომ ქვეყანას აქვს უნარი, თანმიმდევრულად გააკეთოს ყველაფერი, რაც აუცილებელია ევროპული მისწრაფებების რეალიზებისთვის. ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით, საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებით, ასევე, ქვეყნის საჯარო სამსახურის მნიშვნელოვნად გაძლიერებით შექმნილია მყარი საფუძველი ევროპულ გზაზე შემდგომი წინსვლისთვის. გარდა ამისა, ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებს ზურგს უმაგრებს მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ. ყოველივე ეს კი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საქართველოს ნამდვილად აქვს პოტენციალი მოკლე დროში შეასრულოს ევროკომისიის რეკომენდაციები და მიიღოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.

ამჟამინდელი მდგომარეობით, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მოპოვება, მეტწილად, დემოკრატიული მმართველობის კუთხით არსებული გამოწვევების ეფექტურად დაძლევაზე გადის, რაც კოპენჰაგენის პოლიტიკური კრიტერიუმის წარმატებით შესრულებას გულისხმობს. ევროკომისიის მხრიდან ქვეყნის კოპენჰაგენის კრიტერიუმებით შეფასებისას, ყველაზე მეტი კრიტიკა სწორედ პოლიტიკური მიმართულებით გამოიკვეთა. კერძოდ, ევროკომისიამ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ინსტიტუციური სტაბილურობის კუთხით არსებულ ჩავარდნებზე მიუთითა და მათ აღმოსაფხვრელად აპლიკანტ ქვეყანას ზემოთ მოყვანილი 12 პრიორიტეტი განუსაზღვრა.

ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულება, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა და სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ რა ტემპით შეძლებს ქვეყანა ევროინტეგრაციის პროცესში წინსვლას. ამ ისტორიულად გარდამტეხ მომენტში, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთოს პრიორიტეტულ სფეროებში ხელშესახები შედეგების მისაღწევად, ვინაიდან, ევროპული გზა დამსახურებაზე დაფუძნებული

⁶⁰ სალომე კანდელაკი, [საქართველოს მოკლე თუ გრძელვადიანი ევროპული პერსპექტივა: სლოვაკეთის შემთხვევის ანალიზი](#), საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 24 ივნისი, 2022.

პროცესია, რომელიც ზედმიწევნით მიჰყვება საკვანძო რეფორმების განხორციელებისას მიღწეულ პროგრესს⁶¹.

მისასაღმებელია, რომ საქართველოს მთავრობამ მზადყოფნა გამოხატა ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად და პარლამენტის ბაზაზე შექმნილი სხვადასხვა პლატფორმების ფარგლებში რეფორმების განხორციელების მიზნით მუშაობაც დაიწყო. თუმცა, ხელშესახები პროგრესის მისაღწევად აუცილებელია, რომ ცალკეულ სფეროებში განხორციელებული რეფორმები ინკლუზიური სამუშაო პროცესისა და ფართო კონსენსუსის შედეგი იყოს, რომელშიც ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები და სამოქალაქო საზოგადოება. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, და შესაბამისად, პოლიტიკური პოლარიზაციის შემცირებას, რაც ერთ-ერთია იმ პირობათაგან, რომლის შესრულებაც საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად მოუწევს.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ამ კრიტიკულ მომენტში ხელისუფლებამ თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელმაც შესაძლოა, კითხვის ქვეშ დააყენოს ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად გაცხადებული მზაობა და დააზიანოს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესი. მაგალითად, ამგვარ ქმედებად შეიძლება იქნას აღქმული თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძის მეორე ვადით დანიშვნა⁶². იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ ხელახლა აერჩია მოსამართლე, რომლის მიმართაც ნაკლებია საზოგადოების ნდობა, ხელს უშლის ევროკომისიის რეკომენდაციის შესაბამისად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი სასამართლოს შექმნას⁶³.

გარდა ამისა, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად აუცილებელია, რომ ქვეყანამ ევროპულ ინსტიტუტებთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზეც იზრუნოს და ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პირობების შესრულება კონსტრუქციული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდეს. სამწუხაროდ, ამ პროცესს მნიშვნელოვნად აფერხებს ხელისუფლების წარმომადგენლების ბოლოდროინდელი ანტიდასავლური რიტორიკა და მათ შორის, ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის მიმართ გაკეთებული დაუსაბუთებელი განცხადებები, რომ „მან სათანადოდ კარგად ვერ იმუშავა იმისთვის, რათა საქართველოს კანდიდატის სტატუსი მიეღო“⁶⁴. ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო აუარესებს თბილისისა და ბრიუსელს შორის ისედაც დაზიანებულ ურთიერთობებს.

⁶¹ იხ. [საქართველოში ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის შეფასება საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესახებ](#), ევროკავშირის დელეგაციის პრესისა და ინფორმაციის გუნდი, 14 ივლისი, 2022.

⁶² [Radiatoravisupleba.ge, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ მიხეილ ჩინჩალაძე მეორე ვადით აირჩიეს](#), 27 ივნისი, 2022.

⁶³ [hrc.ge, მიხეილ ჩინჩალაძის მეორე ვადით დანიშვნა ევროპული ინტეგრაციის პროცესს აზიანებს](#), 30 ივნისი, 2022.

⁶⁴ [civil.ge, ირაკლი კობახიძე კარლ ჰარცელს აკრიტიკებს](#), 20 ივლისი, 2022.

ამიტომ, სასურველია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რეფორმებისა და ევროკავშირის დღის წესრიგის გატარება ადგილობრივი პოლიტიკოსების ამოცანად დაინახოს და მიზნების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის სხვებზე გადატანისგან თავი შეიკავოს⁶⁵.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში დეპოლარიზაციის მისაღწევად არანაკლებ მნიშვნელოვანია ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების როლიც. ოპიზიციურ ძალებს, რომლებსაც მათი წილი პასუხისმგებლობა აქვთ ქვეყნისა და მოქალაქეების წინაშე, პრაგმატული და კონსტრუქციული მოქმედება მართებთ, რადგან ქვეყნის ამჟამინდელი ამოცანის შესრულება - კანდიდატის სტატუსის მოპოვება - სწორედ ერთობლივი მოქმედებით არის შესაძლებელი.

დაბოლოს, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებას, ვინაიდან, ძლიერ დემოკრატიას სწორედ აქტიური მოქალაქეები ქმნიან. ამ მნიშვნელოვან დროს, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ვალია, დარჩეს პროცესში ჩართული, თვალი ადევნოს ხელისუფლებისა და სრულიად პოლიტიკური ელიტის მხრიდან ევროკომისიის პრიორიტეტების შესასრულებლად გამოჩენილ ძალისხმევას და მუდმივად შეახსენოს პოლიტიკურ ძალებს მათ მიმართ არსებული მოლოდინებისა და მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულების შესახებ.

⁶⁵ Civil.ge, [ევროკავშირი ქართულ ოცნებას კარლ შარტცელზე განცხადების გამო აკრიტიკებს](#), 21 ივლისი, 2022.